დებულება შუალედური გამოცდების შესახებ

1) სემესტრის განმავლობაში სტუდენტთა მუშაობა კონტროლდება პერიოდული შეფასებისა და შუალედური გამოცდების ფორმით.

2) პერიოდული შეფასების დანიშნულებაა სემესტრის განმავლობაში სტუდენტთა მუშაობის მრავალფეროვნებისა და მუდმივობის უზრუნველყოფა. შეფასების ფორმებია:

- აქტიური დასწრება,
- ქუიზები, სემინარი (წერა, ზეპირი, ტესტირება),
- კოლოქვიუმი,
- რეფერატი,
- პრაქტიკული სამუშაოს პრეზენტაცია.

პერიოდული შეფასების მეშვეობით პროგრამის ლიდერი რეგულარულად აფასებს სტუდენტთა მიერ მიმდინარე თემებისა და საკითხების ათვისების ხარისხს. თითოეული ფორმის წონას (მაქსიმალირ ქულას) განსაზღვრავს პროგრამის ლიდერი თავისი სილაბუსის შესაბამისად.

3) შუალედური გამოცდების დანიშნულებაა გავლილი სასწავლო მასალის ათვისების შეფასება სემესტრის მანძილზე. შუალედური გამოცდები შეიძლება ჩატარდეს წერითი ან ტესტირების ფორმით პროგრამის ლიდერის სილაბუსის შესაბამისად.

4) შუალედური გამოცდები ტარდება სემესტრში ერხელ ან რამოდენიმეჯერ. შუალედური გამოცდების ჯამური წონა (მაქსიმალური ქულა) არ უნდა იყოს 20 ქულაზე ნაკლები და 30 ქულაზე მეტი.

5) ყოველკვირეული შეფასებისა და შუალედური გამოცდის წონათა ჯამი უნდა შეადგენდეს 60 ქულას. ფინალურ გამოცდაზე დაშვების ბარიერია 31 ქ.

5) შუალედური გამოცდის ჩატარების წესი.

შუალედური გამოცდების ორკვირიანი ვადები უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის მიერ ინიშნება სემესტრში სამჯერ, სემესტრის დაწყებიდან არა უადრეს ერთი თვისა. დიციპლინებში შუალედური გამოცდების განრიგი დგინდება საგამოცდო ცენტრის განკარგულებით ფაკულტეტების მიერ მოწოდებული წარდგინების საფუძველზე. განრიგის გარეშე დანიშნული

გამოცდა არ ჩაითვლება ჩატარებულად. ფაკულტეტებმა წარდგინება შუალედური გამოცდების დანიშვნის შესახებ საგამოცდო ცენტრს უნდა მიაწოდონ საგამოცდო ვადებამდე ერთი კვირით ადრე.

6) შუალედური გამოცდა ტარდება განრიგით განსაზღვრულ დროს და განსაზღვრულ აუდიტორიაში. გამოცდას ატარებს კომისია, პროგრამის ლიდერის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლისა და საგამოცდო კომისიის წარმომადგენლის მონაწილეობით. პროგრამის ლიდერი შესაბამისი მიმართულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით ამზადებს საგამოცდო მასალას (ტესტებს, საკითხებს, ბილეთებს) და უშუალოდ ხელმძღვანელობს გამოცდის ჩატარებას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს გამოცდის ჩატარების აკადემიური ხარისხის შესაბამისობას, ხოლო საგამოცდო ცენტრი _ გამოცდის მიმდინარეობისა და შედეგების ნამდვილობას. გამოცდის შედეგად კომისიის მიერ დგება ოქმი სადაც სამივე მონაწილე მხარე აფიქსირებს საკუთარ შეფასებას. გამოცდის შედეგები აღინუსხება საგამოცდო უწყისში, რომელსაც ამზადებს საგამოცდო ცენტრი, ავსებს პროგრამის ლიდერი და ამტკიცებს მიმართულების ხელმძღვანელი.

7) შუალედური გამოცდის ოფიციალური დოკუმენტია საგამოცდო უწყისი ხელმოწერილი პროგრამის ლიდერის მიერ და დადასტურებული საგამოცდო ცენტრის მიერ. უწყისს თან ერთვის გამოცდის ოქმი.

8) გარდა ოფიციალური საგამოცდო უწყისისა პროგრამის ლიდერი ყოველი გამოცდის შემდეგ საგამოცდო ცენტრს აბარებს ჯგუფურ უწყისს, რომელშიაც აფიქსირებს როგორც შუალედური გამოცდის შედეგს ξ თითოეული სტუდენტის შეფასებას, ასევე გავლილ პერიოდში სტუდენტის მუშაობის შეფასებას ცალკეული ფორმების მიხედვით.

9) გამოცდების შედეგებს აჯამებს და აღრიცხავს საგამოცდო ცენტრი. საგამოცდო ცენტრი გამოცდების ჩატარების შესახებ ყოველსემესტრულ ანგარიშს აბარებს აკადემიურ საბჭოს.

10) გამოცდების უწყისები, ოქმები და ნამუშევრები ინახება საგამოცდო ცენრტში.

სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებისათვის იხ. შესაბამისი დებულებები